სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს ბრძანება N: 167/01-01**-ის საფუძველზე - **ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის** ასოცირებული პროფესორის, **იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კეთედრის** ასოცირებული პროფესორის, **უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის, მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2025 წლის 12 სექტემბრის №: 51/2025 დადგენილების** პუნქტი 3-ის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

**შემაჯამებელი ოქმი**

**ქ. თბილისი** **„10“ ოქტომბერი, 2025 წ.**

**თსუ XI კორპ. ოთახი #547** **12:00 სთ,**

**სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი:**

1. დიანა ძიძიგური - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანული დორეული - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მაგდა ალანია - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ. (კომისიის მდივანი),
4. ნანული კოტრიკაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ.

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

5. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

**მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატების საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის** (ბ კატეგორია) საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა **თამარ ბუაძემ.**
   კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.
   აღინიშნა, რომ თამარ ბუაძის

**განათლება** - 1993-1997 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მინიჭებული ხარისხი - ბიოლოგიის ბაკალავრი; 1997-1999 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მინიჭიბული ხარისხი - ბიოლოგიის მაგისტრი (სპეციალობა: გენეტიკა). 2000-2006 - თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურა.

**აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** - 2006, ბიოლოგიის დოქტორი (გენეტიკა) დიპლომი: № 006008, B.03.15;

**სამსახურებრივი გამოცდილება** - 2007 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტში ლაბორანტის თანამდებობა. 2010 წლიდან დღემდე სამედიცინო ფაკულტეტზე მოწვეული პედაგოგი; 2014 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული პედაგოგი; 2018-2019 წლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული გენეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი; 2020-2023 წლებში შპს დნმ დიაგნოსტიკის ლაბორატორია;

**პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი)

ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად კონკურსანტმა I **კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**“.

II **კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილება** (2010 წლიდან დღემდე სამედიცინო ფაკულტეტზე მოწვეული პედაგოგი. 2014 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული პედაგოგი) **და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), სასწავლო–მეთოდური საქმიანობა** (ყოველწლიურად განახლებადი ელექტრონული სასწავლო კურსები (5)), **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი** (21-27 აპრილი, 2014 ძირითადი ფლუორესცენტული ინ სიტუ ჰიბრიდიზაციის პროცედურები. FISH ტელომერული პრობების, BAC პრობების გამოყენებითა და მთლიანი ქრომოსომების მონიშვნა (შეღებვა ფლუოერსცენტული საღებავებით) იენა, საუნივერსიტეტო კლინიკა) და ონლაინ **ტრენინგები** (22.11.202 დისტანციურ პლატფორმათა ეფექტური გამოყენება სწავლებისას; 15.11.2024 - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები; 04.11.24 - ქეისებით და დილემებით სწავლება - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები), **მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის–ში დადგენილ მოთხოვნებს.**
შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას “**მაღალი**” .

III **კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა -** პუბლიკაციები WEB of SCIENCE იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 9; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 21; პატენტი -1, ბოლო 6 წლის განმავლობაში 15 მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და 3 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტეში მონაწილეობა. თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 1 (ოსვეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ (პროფესორი კესტას ბენდინსკასი) 2012-2019 წლები), მისი ციტირების ინდექსი Web of science-ის მიხედვით ციტირების ინდექსი 20/h-ინდექსი 3; Scopus-ის მიხედვით ციტირების ინდექსი - 35, h-ინდექსი - 3, Google scholar-ის მიხედვით ციტირების ინდექსი 85; h - ინდექსი - 3, g - ინდექსი-9; **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი (**Epigenetic Activation of Ribosomal Cystrons in Chromatids of Acrocentric Chromosome 15th in Ductal Breast Cancer. T.Lezhava,V.Khavinson, T.Jokhadze, T.Buadze, J.Monaselidze, T.Sigua, M.Gaiozishvili, T.Tsuleiskiri. International Journal of Peptide Research and Therapeutics. 29(2), 21, 2023) არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science იმპაქტ ფაქტორის (2.191) მქონე ჟურნალში**. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში** კონკურსანტი დეტალურად აღწერს მის ამჟამინდელ სამეცნიერო კვლევებსა და გეგმებს, ამ კვლევების აქტუალობას. მისი კვლევითი მიმართულებები მოიცავს ეუკარიოტების გენომის ფუნქციონირების შესწავლას ონტოგენეზის სხვადასხვა ეტაპზე, პათოლოგიების დროს და გარემოს დამაბინძურებელ ფაქტორთა ზემოქმედებისას (ეკოლოგიური გენეტიკა); აგრეთვე გენურ პოლიმორფიზმსა და პოპულაციურ კვლევებს.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება III **კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

IV **კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული აქტივობები. 2018 წლიდან დღემდე თამარ ბუაძის თანახელმძღვანელობით შესრულდა 7 სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომი. არის დოქტორანტის თანახელმძღვანელი. 2024-2025 წლებში უხელმძღვანელა სამეცნიერო

კონფერენციებზე სტუდენტთა მოხსენებებს (3 მოხსენება). იყო გენეტიკის კათედრის ორგანიზებით გამართული სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი (2012-2022 წწ).
**დამატებითი ინფორმაცია** - ფლობს რუსულ და ინგლისურ (A2) ენებს. კომპიუტერული უნარები - ძირითადი საოფისე პროგრამები.
კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV **კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. მათ შორის, კომისიის თავჯდომარემ პროფესორმა დიანა ძიძიგურმა ჰკითხა კონკურსანტს, მის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ნახსენებ ყველა მიმართულებით თუ გეგმავს იგი მუშაობის გაგრძელებას. რაზეც კონკურსანტმა უპასუხა, რომ აუცილებლად გააგრძელებს ყველა აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო კვლევების ჩატარებას. კომისიის თავჯდომარე აგრეთვე დაინტერესდა, რომელი საფეხურის სტუდენტებს ხელმძღვანელობს ამჟამად კონკურსანტი. თამარ ბუაძემ უპასუხა, რომ მასთან მუშაობენ მაგისტრანტები. თავჯდომარემ ურჩია, რომ ბაკალავრებიც ჩართონ მეცნიერულ კვლევებში, რადგან საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მოითხოვს ხანგრძლივ ექსპერიმენტულ კვლევას. კომისიის მდივანმა აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე შესაძლებელია ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამუშავებით დაწყება. კომისიის თავჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ნანული დორეულმა აღნიშნა, რომ მიესალმება ძალიან შთამბეჭდავი საკონკურსო ანკეტის მქონე ახალგაზრდა მეცნიერი ქალის ამბიციას, დაიკავოს ასოცირებული პროფესორის თანამდებობა, რაც ხელს შეუწყობს მეტი სტუდენტის დაინტერესებას გენეტიკის მიმართულებით. კომისიის თავჯდომარემ მისცა რჩევა, რომ მომავალში სამეცნიერო კვლევების კონცეფცია დაწეროს უფრო მარტივი ენით, რადგან ლიტერატურული ენიდან აღებული ფრაზები ართულებს აღქმის პროცესს.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ დადებითად შეაფასა პრეტენდენტის დარგობრივი უნარები, პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ თამარ ბუაძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი დოქტორ თამარ ბუაძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების

მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

**კომისიამ ერთხმად დაადგინა:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **გენეტიკის კათედრის** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე (ბ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი **თამარ ბუაძე.**

2. **მოისმინეს:** კომისიის თავჯდომარემ პროფესორმა დიანა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის** (ბ კატეგორია) საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა ნინო გაჩეჩილაძემ.
კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.
აღინიშნა, რომ ნინო გაჩეჩილაძის

**განათლება** - 1985-1990- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი, სპეციალობით მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია.

**აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** - 1994, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული, დიპლომი: № 000348; სპეციალობა-14.26. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. 2004 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება იმუნოლოგიის (14.00.36) სპეციალობით,

**სამსახურებრივი გამოცდილება** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იმუნორეგულაციის/იმუნობიოტექნოლოგიის ლაბორატორიის ლაბორანტი (1988-1990) - უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1990-1996), ლაბორატორიის გამგე (1996-2006), 2004-2006 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი. 2000-2013 - ჯოენის სახ. სამედიცნო ცენტრის სისხლის ბანკის იმუნოჰემატოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი; 2006 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. 2015-2017 - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 2017-2020 - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე; 2018 სასწავლო წელს- ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე მოწვეული ლექტორი; 2018-2023 - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე მოწვეული ლექტორი, 2024-დან დღემდე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.

**პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი)

**შეთავსებით მუშაობა:** 2024-დან დღემდე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი,

ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონკურსანტმა I **კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს**".

II **კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა - პროფილთან** (2004-2006 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი, 2006 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ) **და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), სასწავლო–მეთოდური საქმიანობა** (სახელმძღვენელო: „იმუნიტეტი ინფექციების მიმართ", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014; სალექციო მასალები - https://e-learning.tsu.ge);
**კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები** (2018 - Export control of dual use material and technlologies in GUAM countries (ISTC/STCU), 2018 - Technology Platforms as an STI Policy Tool in the EaP Countries (ISTC/STCU), 2020 - Promouting Gender Equality in Research (Horizon 2020), 2021 - Promoting Responsibel Science in Georgia, Azerbaijan and Moldova – Responsible science in support of improved implementation of export controls (IS1C/STCU), 2022 - Fostering Science Industry collaboration with joint priorities for Research and Innovation (EuropAid), 2023 - Medical Education Assessment (EEU, UAE), 2024 - Clarivate day Georgia and Web of Science Update Training (Clarivate Analytics)) **მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული სასწავლო კურსები** (3 საბაკალავრო და 5 სამაგისტრო) **ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის–ში დადგენილ მოთხოვნებს.**
შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას "**მაღალი**" .

III **კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა -** პუბლიკაციები WEB of SCIENCE იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული - 1; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 3; პატენტი -1; ბოლო 6 წლის განმავლობაში 9 მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე; 1 მოხსენება ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე; 6 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტეში მონაწილეობა; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 12 ; მისი ციტირების ინდექსი Scopus-ის მიხედვით ციტირების ინდექსი - 5, h-ინდექსი - 2, Google scholar-ის მიხედვით ციტირების ინდექსი 6; h - ინდექსი - 2; **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი (**Bacterial Infections in chronic lymphocytic leukemia (CLL): Upper Respiratory Tract Microflora and Potential Treatment Strategies for Bacterial Infections. Khatia Mikeladze, Nino Gachechiladze, Nino Chikadze, Peter Lydyard, Nina Porakishvili, Marina Tediashvili. Folia Biologica) არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, მაგრამ არ არის გამოქვეყნებულია. **სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში** კონკურსანტი დეტალურად აღწერს მის ამჟამინდელ სამეცნიერო კვლევებსა და გეგმებს, ამ კვლევების აქტუალობას. მისი კვლევითი მიმართულებები მიზნად ისახავს ფაგოთერაპიის ბარიერის – ანტიფაგური ანტისხეულების – სიღრმისეულ შესწავლას. კვლევა საშუალებას მისცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით დაიკავოს მნიშვნელოვანი პოზიცია

ფაგოთერაპიისა და იმუნოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში, შექმნას ინოვაციური მიდგომები AMR-ის წინააღმდეგ ბრძოლაში და გააძლიეროს სტუდენტთა ჩართულობა ინოვაციურ კვლევებში. სამეცნიერო პროდუქტიულობის გათვალისწინებით და რადგან წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, კონკურსანტის საერთო შეფასება III **კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „საშუალო“.**

IV **კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული სხვა სახის აქტივობები: 2013 წლიდან ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპული ასოციაციის წევრი. 2017 – 2020 წწ HORIZON 2020 Marie Skłodowska Curie Actions (MSCA) კომიტეტის წევრი; 2017-2020 წწ ევროპული საბჭოს (ERC) საკონტაქტო პირი საქართველოში; 2018 წლიდან ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაციის დამფუძნებელი.
რადგან კონკურსანტის საკონკურსო ანკეტაში არ არის წარმოდგენილი სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV **კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „საშუალო“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. მათ შორის, კომისიის თავჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევების წარმოდგენილ კონცეფციასთან დაკავსირებით არ აქვს შეკითხვები. კომისიის წევრმა ქალბატონმა ნანული კოტრიკაძემ მიმართა კონკურსანტს საკონკურსო ანკეტის 3.9 პუნქტთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი სტატია არ იძებნება ინტერნეტში, შესაბამისად კომისიის მიერ ჩაითვალა გამოუქვეყნებლად. ამასთან აგრეთვე არ იყო დართული აღნიშნული სტატიის დასაბეჭდად მიღების შესახებ ინფორმაცია. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ სტატია მიღებულია დასაბეჭდად და ამის დასადასტურებლად კომისიის წევრებს წარმოუდგინა ჟურნალის რედაქციის წერილი სტატიის დასაბეჭდად მიღების შესახებ, რომელიც ივნისით თარიღდება. შესაბამისად იგი იმედოვნებდა, რომ კონკურსის დაწყებამდე გამოქვეყნდებოდა ბოლო ნაშრომი. კომისიის თავჯდომარემ აგრეთვე მიუთითა კონკურსანტს, რომ მეოთხე კატეგორიაში არ არის წარმოადგენილი ინფორმაცია სტუდენტების ხელმძღვანელობის შესახებ. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი, რაც კარგად მოეხსენებათ კომისიის წევრებსაც, მაგრამ მას როგორც ჩანს მოხდა ტექნიკური ხარვეზი ამ ინფორმაციის შენახვისას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ დადებითად შეაფასა პრეტენდენტის დარგობრივი უნარები, პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ ნინო გაჩეჩილაძის კანდიდატურა შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი დოქტორ ნინო გაჩეჩილაძის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

**კომისიამ ერთხმად დაადგინა:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე (ბ კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი **ნინო გაჩეჩილაძე.**

3. **მოისმინეს:** კომისიის თავჯდომარემ პროფესორმა დიანა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის** (ა კატეგორია) საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა მანანა გორდეზიანმა.
   კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

   აღინიშნა, რომ მანანა გორდეზიანის

**განათლება** - 1968-1973- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი. 1973-1979 ივ, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, ბიოფიზიკის კათედრა, ასპირანტი.

**აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** - 1986, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული, БЛ №017952. დოცენტის სამეცნიერო პედაგოგიური წოდება - 2001, 03.00.25 - უჯრედის და განვითარების ბიოლოგია. დოცენტის ატესტატი - №0000465.

**სამსახურებრივი გამოცდილება -** 1966-1968 - აფთიაქი #5, სანიტარი; 1979-1985 -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, კანცეროგენეზის მოლეკულური მექანიზმების პრობლემური ლაბორატორია, ლაბორანტი; 1985-1987 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, ბიოფიზიკის კათედრა, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1987-1992 - ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, ფიზიკო-ქიმიური და მოლეკულური ბიოლოგიის ს/კ ლაბორატორია, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1992-1995 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის კათედრა, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1995-2006 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი, ბიოლოგიური პროცესების კომპიუტერული მოდელირების ს/კ ლაბორატორია, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 2006-2009 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი, ფიზიკო-ქიმიური ბიოლოგიის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი; 2009 წლიდან დღემდეივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტი, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი; **პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონკურსანტმა I **კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

II **კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა - პროფილთან** (2001 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი, 2006 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი) **და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), სასწავლო–მეთოდური საქმიანობა** (3 სახელმძღვენელო, 9 სალექციო ელექტრონული კურსი გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის-ს მუდლის პლატფორმაზე, https://e-learning.tsu.ge);
**მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული სასწავლო კურსები** (3 საბაკალავრო, 5 სამაგისტრო და 4 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის) **ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილ მოთხოვნებს.**
შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას "**მაღალი**" .

III **კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა** - პუბლიკაციები WEB of SCIENCE იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული - 8; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 26; პატენტი - 3; ბოლო 6 წლის განმავლობაში 14 მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 2 ; მისი ციტირების ინდექსი Web of Science-ის მიხედვით ციტირების ინდექსი - 11, h- ინდექსი - 1; Scopus-ის მიხედვით ციტირების ინდექსი - 20, h-ინდექსი - 2, Google scholar-ის მიხედვით ციტირების ინდექსი 82; h - ინდექსი - 5, g-ინდექსი - 7; **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ორი ნაშრომი (**1) Plastic orchiectomy and some indicators of improvement of vital parameters and general condition of the organism in blood of the men with prostate cancer. Nanuli Kotrikadze1*, Eka Khutsishvili1, Manana Alibegashvili1, Liana Ramishvili1, Teimuraz Chigogidze, Nino Gabunia, Manana Gordeziani1, Kakha Artsivadze1, Bela Sepiashvili1, Irina Nakashidze3 & Sarfraz Ahmad4* Indian Journal of Biochemistry & Biophysics, Vol. 61, pp. 39-47; DOI: 10.56042/ijbb.v60i12. 5683, 2024; 2) Evaluation of UV radiation and detergents for use in regulation of microörganismal active metabolite production". Manana Gordeziani, Marina Tabatadze and Ilia Atanelishvili.

Journal of Biological Physics and Chemistry. vol. 8. #4. Pp.115–119. 2008) **არის მაღალი ხარისხის ნამუშევრები, რომლებიც გამოქვეყნებულია. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში** კონკურსანტი დეტალურად აღწერს მის ამჟამინდელ სამეცნიერო კვლევებსა და გეგმებს, ამ კვლევების აქტუალობას. იგი ჩართულია უჯრედეული და მოლეკულური ბიოლოგიის ორივე მიმართულების კვლევებში. კერძოდ, 1. კანცეროგენული ტრანსფორმაციის მოლეკულური მექანიზმების შესწავლაში ჰორმონდამოკიდებული სიმსივნეების შემთხვევაში (ხელმძღვანელი: ბმდ, პროფ. ნ. კოტრიკაძე) და 2. მიკროორგანიზმების დესტრუქციული აქტივობის რეგულაციაში (ხელმძღვანელი: ბდ, ასოც. პროფ. მ. გორდეზიანი). იგი კონცეფციაში აღნიშნავს, რომ ორივე წარმოდგენილი მიმართულებით კვლევის ინტერდისციპლინური ბუნება და კომპლექსური ხასიათი ბიოლოგიის მიმართულების განსხვავებული სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტით უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა, რაც საუნივერსიტეტო მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, კვლევებში მონაწილე მაგისტრანტები და დოქტორანტები იძენენ საჭირო გამოცდილებასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც შემდგომში სხვადახვა სამეცნიერო-კვლევით და სამედიცინო-სადიაგნოსტიკო ცენტრების საქმიანობაში უპრობლემოდ ჩართვის საშუალებას იძლევა. კონკურსანტის საერთო შეფასება III **კატეგორიის პირველი ნაწილის („ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას“) მიხედვით არის „მაღალი“, ხოლოდ მეორე ნაწილის (ხელს შეუწყობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის-ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) მიხედვით არის “საშუალო“.**

IV **კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული სხვა სახის აქტივობები. კერძოდ,

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი კომისიების წევრობა:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების მდივანი
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორანტის თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიების მდივანი

2. ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი კომისიების წევრობა:

- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების კომისიის წევრი;
- სამაგისტრო დისერტაციებისა და საბაკალავრო ნაშრომების დაცვის საატესტაციო კომისიის წევრი;
- დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი;
- დარგობრივი სარედაქციო საბჭოს წევრი (მდივანი).

3. ახალგაზრდა თაობის დაინტერესება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის–ში სწავლით:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის გასვლითი სკოლა-სემინარის - „ბიომედიცინის აქტუალური პრობლემები“ - თანაორგანიზება.

•	მედიკოსთა ტრადიციული საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია „თანამედროვე კლინიკური მედიცინა - მიღწევები და უახლესი ტექნოლოგიები“-ის ფარგლებში ბიოლოგი ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის სპეციალური სესიის - „ექსპერიმენტული მედიცინა“ - ორგანიზება.

4. ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს წევრი
5. ვებ-გვერდის კომისიის წევრი
6. Windows, Microsoft Office, Internet, Adobe Reader, Adobe Photoshop CS. კომპიუტერული პროგრამებთან მუშაობის უნარი.
7. ენების ცოდნა: რუსული, ფრანგული, ინგლისური
8. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი - სერტიფიკატი
9. Tempus – Diploma for valuable contribution to the design and introduction of the Master Course in Applied Biosciences at Iv. Javakhishvili Tbilisi state University. 2013.: 2013 წლიდან ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპული ასოციაციის წევრი. 2017 – 2020 წწ HORIZON 2020 Marie Skłodowska Curie Actions (MSCA) კომიტეტის წევრი; 2017-2020 წწ ევროპული საბჭოს (ERC) საკონტაქტო პირი საქართველოში; 2018 წლიდან ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაციის დამფუძნებელი.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV **კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „საშუალო“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. მათ შორის, კომისიის თავჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ნანული დორეულმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევების წარმოდგენილ კონცეფციასთან აქვს შეკითხვა. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ კათედრაზე არის ორი მიმართულება, მაგრამ მეორე მიმართულებით არ იძებნება ბოლო წლების პუბლიკაციები. კონკურსანტმა ამასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ მას აქვს დაგროვილი ამ მიმართულებით ძალიან ბევრი მასალა და უახლოეს მომავალში იგი გეგმავს პუბლიკაციის მომზადებას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ დადებითად შეაფასა პრეტენდენტის დარგობრივი უნარები, პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ მანანა გორდეზიანი კანდიდატურა შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული

ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი დოქტორ მანანა გორდეზიანი კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

**კომისიამ ერთხმად დაადგინა:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე (ა კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი **მანანა გორდეზიანი.**

4. **მოისმინეს:** კომისიის თავჯდომარემ პროფესორმა დიანა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის** (ა კატეგორია) საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - დოქტორმა მარიამ გაიდამაშვილმა.
   კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

აღინიშნა, რომ მარიამ გაიდამაშვილის
**განათლება** - 1984-1989 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი.

**აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** - 1998, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული, № 001803, სპეციალობა-03.00.12.
**სამსახურებრივი გამოცდილება -** 1987.11.24 - 1989.07.01 ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლაბორანტი. 1989.11.20 - 1999.09.01 ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უფროსი ლაბორანტი. 1999.09.01 - 2000.09.01 ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებებლი. 2000.01.01 - 2001.12.31 პოსტდოქტორანტი მკვლევარი. მცენარეთა ზრდა-განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ნატალის უნივერსტეტი, პიტერმარიცბურგი, სამხრეთ აფრიკა. 2001.11.24-2003.11.25 პოსტდოქტორანტი მკვლევარი, ბიომოლეკულურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ტოჰოკუს უნივერსტეტი, სენდაი, იაპონია; 2004.10.05 - 2006.09.01 ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 2006.09.01 – დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი.ი;
**პედაგოგიური სტაჟი** (6 წელზე მეტი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს

მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონკურსანტმა I **კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

**II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა - პროფილთან** (2006 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი) **და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), სასწავლო–მეთოდური საქმიანობა** (1 სახელმძღვანელო: 6 სალექციო ელექტრონული კურსი გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის-ს მუდლის პლატფორმაზე, https://e-learning.tsu.ge); **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები** (2024 -„ხეხილოვანი კულტურების დაცვა“. ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლა; 2024 - „ხეხილის სხვლა-ფორმირება“. ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლა. 27/09/2022-05/10/2022 - იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) მოკლევადიანი მობილობის პროგრამა STM 2021. CNR-IBE ბიოეკონომიკის ინსტიტუტი, in vitro ტექნოლოგიების და კრიოპრეზერვაციის ლაბორატორია. ფლორენცია, იტალია; 15/02/2019-01/03/2019 - Erasmus+ Staff Mobility for Teaching International Staff Mobility ლა კორუნას უნივერსიტეტი, ესპანეთი. 06/05/2019-10/05/2019 - Erasmus+ Staff Mobility for Teaching International Staff Mobility ქალები საერთაშორისო უმაღლეს განათლებაში და STEM დარგებში. ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია. 01/05/2018–12/05/2018 Erasmus+ Staff Mobility for Teaching International Staff Mobility იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტი, გისენი, გერმანია. 25/02/2018–03/02/2018 Erasmus+ Staff Mobility for Teaching International Staff Mobility
კორუნას უნივერსიტეტი, ესპანეთის სამეფო. 17/05/2016–27/05/2016 - Erasmus+ Staff Mobility for Teaching International Staff Mobility იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტი, გისენი, გერმანია. 04/10/2011-06/10/2011 - EC-TEMPUS-funded Staff Development and Training. თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი. 01/11/2008–14/12/2008 EC-TEMPUS-funded Staff Development and Training. დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, ბრისტოლი, გაერთიანებული სამეფო. 09/05/2006–06/07/2006 Biotechnology and Bioinformatics in Agriculture: Plants and Micro-organisms. UNESCO/Israel(Mashav) იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი, რეჰოვოტი, ისრაელი. 27/11/1995–15/11/1997 Plant Biotechnology and Molecular Biology. UNESCO BETCEN., აგრარული ბიოტექნოლოგიის ცენტრი, გოდოლო, უნგრეთი.)
**მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული სასწავლო კურსები** (3 საბაკალავრო და 6 სამაგისტრო) **ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის–ში დადგენილ მოთხოვნებს.**
შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით იმსახურებს შეფასებას “**მაღალი**” .

**III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა -** პუბლიკაციები WEB of SCIENCE იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული - 8; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 15; ბოლო 6 წლის განმავლობაში 6 მოხსენება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე; მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე - 3; თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 9 ; მისი ციტირების ინდექსი Web of Science-ის მიხედვით ციტირების ინდექსი - 137, h-ინდექსი - 4; Scopus-ის მიხედვით ციტირების ინდექსი - 216, h-ინდექსი - 6, Google scholar-ის მიხედვით ციტირების ინდექსი 358; h - ინდექსი - 8; **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი** (Gaidamashvili, M., Benelli, C. Threatened woody plants of Georgia and

micropropagation as a tool for in vitro conservation. Agronomy, 11, 1082. https://doi.org/10.3390/agronomy11061082, 2021) **გამოქვეყნებულია** WEB of SCIENCE იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში. **სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში** კონკურსანტი დეტალურად აღწერს მის ამჟამინდელ სამეცნიერო კვლევებსა და გეგმებს, ამ კვლევების აქტუალობას. იგი განსაკუთრებით გამოყოფს მის საკვლევ თემატიკებს, კერძოდ, 1. საქართველოს ფლორის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების გენეტიკური რესურსების გრძელვადიან კონსერვაციასა და 2. სტრატეგიული დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიკროგამრავლების ეფექტური გზების შემუშავება-ოპტიმიზაციას და ჯიშობრივ გაუმჯობესებას მიკროკლონური ჰიბრიდიზაციის და მარკერ-დამოკიდებული სელექციის საფუძველზე. კონცეფციაში იგი ხაზს უსვამს სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის მოძიების აუცილებლობას როგორც საუნივერსიტეტო მექანიზმებით, ისე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. აღნიშნული მიმართულებით, მას საგრანტო განაცხადი წარდგენილი აქვს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2025 წლის ფუნდამენტური კვლევების (FR) კონკურსში. ასევე, მას დაგეგმილი აქვს საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსების მოპოვება, რომელშიც აქტიურად ჩაერთვებიან მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტები. კონცეფციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულებით განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები ხელს შეუწყობს როგორც დეპარტამენტის, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური რეპუტაციის გაუმჯობესებას გლობალურ სამეცნიერო სივრცეში. კონკურსანტის საერთო შეფასება III **კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის "მაღალი"**.

IV **კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი).** აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული სხვა სახის აქტივობები. კერძოდ,

1. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2006-2025).
2. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამაგისტრო პროგრამა "ბიოლოგია" მოდული 'მცენარეთა ბიოლოგია' ხელმძღვანელი (2011-2025).
3. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადოქტორო პროგრამა "ბიოლოგია" მოდული 'მცენარეთა ბიოლოგია' ხელმძღვანელი (2011-2025).
4. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო კომისიის მდივანი (2019-2025).
5. ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო შრომების დაცვის კომისიის წევრი (2006-2025).
6. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონფერენციო მოხსენებების, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი.
7. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სტუდენტების ხელმძღვანელი.
8. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დარგობრივი ექსპერტი (2013-24).
9. საერთაშორისო მემცენარეობის საზოგადოების წევრი (ISHS) №92648 (2016-2020).
10. Transactions on Science and Technology' (ISSN 2289-8786). რედკოლეგიის წევრი
11. კომპიუტერული პროგრამების (საოფისე, გრაფიკული) ცოდნა: Windows, MS-Word, MS-Excel, MS-PowerPoint, Adobe Acrobat, Adobe Photoshop.
12. უცხოური ენები: ინგლისური (C1), რუსული (C2).

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV **კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. მათ შორის, კომისიის თავჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ნანული დორეულმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევების წარმოდგენილი კონცეფცია ძალიან მოეწონა. კომისიის თავჯდომარემ პროფესორმა დიანა ძიძიგურმა რჩევის სახით მიმართა კონკურსანტს კონცეფციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბოლო აბზაცში, სადაც მითითებულია, რომ კათედრაზე მიმდინარე აქტივობები სტუდენტების პროფესიულ განვითარებაში შეიტანს წვლილს, კარგი იქნებოდა, ხაზი გასმულიყო სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე როგორც ეს სხვა ნაწილში იყო აღნიშნული. კონკურსატმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებს სამომავლოდ.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ დადებითად შეაფასა პრეტენდენტის დარგობრივი უნარები, პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ მარიამ გაიდამაშვილის კანდიდატურა შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი დოქტორ მარიამ გაიდამაშვილის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

**კომისიამ ერთხმად დაადგინა:**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულების** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე (ა კატეგორია)

გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი **მარიამ გაიდამაშვილი.**

5. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

***კომისიის წევრების ხელმოწერა*** ***თარიღი 10.10.2025წ.***

კომისიის თავმჯდომარე, პროფ. /დ. ძიძიგური/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. / ნ. დორეული/

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ. /მ. ალანია/

კომისიის წევრი, პროფ. / ნ.კოტრიკაძე/